

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

ქ. ბათუმი

18 სექტემბერი 2017წ

ბრძანება № 01- 08/66

2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში მასწავლებლის
მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა მიღების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე და 53-ე მუხ-
ლების, „უმალესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პი-
რველი პუნქტის, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დი-
რექტორის 2017 წლის 4 სექტემბრის N 565 ბრძანების, ხელოვნების უნივერსიტეტის
წესდების 23-ე მუხლის მე-3 მუხლისა და ხელოვნების უნივერსიტეტის აკადემიური
საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესის პირველი მუხლის მე-4
პუნქტის საფუძველზე ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე
(სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებელი) მისაღები კონტინგენტი:

სახელმწიფო დაფინანსებით - 5 (ხუთი) ადგილი;

თვითდაფინანსებით - 3 (სამი) ადგილი.

2. განისაზღვროს 2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში მასწა-
ვლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხად წარსადგენი
დოკუმენტების ნუსხა:

ა) განცხადება და ანკეტა (შევსებული დანართი № 1-ის და დანართი № 2-ის შე-
საბამისად);

ბ) მიმართულების შესაბამისი საგნის გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი
დოკუმენტი (გაცემული შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ);

გ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის (პასპორტის) ასლი;

დ) 2 ცალი ფოტოსურათი 3/4;

ე) ბაკალავრის /მაგისტრის და/ან მათთან გათანაბრებული დიპლომის ან
სამხედრო/სასპორტო პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის
ნოტარიულად დამოწმებული ასლი (2017 წლის კურსდამთავრებულთათვის - ცნობა
აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ);

ვ) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი (ასე-
თის არსებობის შემთხვევაში);

ზ) ცნობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებიდან საგნის სწავლების
თაობაზე.

3. განისაზღვროს 2016-2017 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში მასწა-
ვლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხად წარსადგენი დო-
კუმენტაციის ვადად - 21 სექტემბრიდან - 27 სექტემბრამდე.

4. გამოცდა სპეციალობაში ჩატარდეს 2017 წლის 28 სექტემბერს, 14.00 საათზე
(ბათუმი, ლ. ასათიანის ქ. №37, აუდიტორია № 37).

5. გამოცდის შედეგები გამოცხადდეს 2017 წლის 29 ოქტომბერს.

6. გამოცდის შედეგების გასაჩივრება - 2016 წლის 02 ოქტომბერი.

7. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ რექტორის ბრძანება გამოიცეს 2017 წლის 04 ოქტომბერს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის მიერ წარმოდგენილი სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე.

8. დამტკიცდეს 2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე განცხადების/ანკეტის და სხვა დოკუმენტების მიმღები კომისია:

კომისიის თავდომარე: იამზე ჩიჩუა - ადამიანური რესურსების მართვისა და საქმის წარმოების სამსახურის უფროსი;

წევრები: სემაეთ სარჯველაძე - განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სპეციალისტი;

ხათუნა ჯოხაძე - იურისტი.

9. დამტკიცდეს 2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები საგნობრივი კომისია:

კომისიის თავდომარე: მათია ჭიჭილეიშვილი - პროფესორი;

წევრები: ერმილე მესხია - პროფესორი;

რატი ჩიბურდანიძე - ასოცირებული პროფესორი.

10. დამტკიცდეს 2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის გამოცდის სააპელაციო კომისია:

კომისიის თავდომარე: ქეთევან ვაჩეიშვილი - ასოცირებული პროფესორი;

წევრები: ინგა ხალვაში - ასოცირებული პროფესორი;

ნინო ხარჩილავა - აკადემიური დოქტორი.

11. დამტკიცდეს ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტში მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე 2017-2018 სასწავლო წლის დაწყებისა და სასწავლო წლის შეუფერხებლად წარმართვის ღონისძიებების შესახებ თანახმად № 3 დანართისა.

12. აღნიშნული ბრძანებით იხელმძღვანელონ სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტმა, საქმის წარმოების სამსახურმა, სტუდენტთა მომსახურების განყოფილებამ, ბუღალტერიამ და შესაბამისმა ფაკულტეტმა.

13. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საინფორმაციო დაფაზე.

14. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში (ქ. თბილისი, სანაპიროს ქუჩა № 4).

15. ბრძანება ამოქმედდეს ხემოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი

ე. მესხია

სსიპ – ბათუმის ხელოვნების სასწავლო
უნივერსიტეტის რექტორის
2017 წლის 18 სექტემბრის № 01-08/66 ბრძანების
დანართი № 1

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
რექტორს -----

(სახელი, გვარი)

(მისამართი, ტელეფონი)

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

სურვილი მაქვს სწავლა გავაგრძელო სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებელი)

განმცხადებლის ხელმოწერა

„-----“ „-----“ 2017 წელი

სწორია:

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

აპლიკანტის ანკეტა

სახელი -----

გვარი -----

დაბადების თარიღი -----/-----/-----/

რიცხვი, თვე, წელი

პირადი ნომერი № -----

ფაქტობრივი მისამართი -----

რეგისტრაციის მისამართი -----

სქესი: მამრობითი მდედრობითი

მობილური/ტელეფონი -----

ელ-ფოსტა: -----

ფაკულტეტი -----

საგანმანათლებლო პროგრამა - საბაზო და საშუალო სკოლის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა.

გამოცდა (ჩაბარებული გამოცდების ეროვნულ ცენტრში) -----

მიღებული განათლება:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	ფაკულტეტი, სპეციალობა	კვალიფიკაცია	სწავლის პერიოდი

რომელ ენას ფლობთ? -----

ამჟამად ხართ თუ არა რომელიმე უმაღლესი/ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტი/მასწავლებელი? (დადებითი პასუხის შემთხვევაში, მიუთითეთ შესაბამისი საგანმანათლებლო დაწესებულება და სტატუსი)

ვადასტურებ მითითებულ ინფორმაციას და წარმოდგენილი დოკუმენტის სისწორეს. ჩემთვის ცნობილია მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღებისა და სწავლის პირობები

(აპლიკანტის ხელმოწერა)

(რეგისტრაციაზე პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა)

თარიღი: --- ----2017

სწორია:

სსიპ – ბათუმის ხელოვნების სასწავლო
უნივერსიტეტის რექტორის
2017 წლის 18 სექტემბრის № 01-08/66 ბრძანების
დანართი № 3

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე 2017-2018
სასწავლო წლის დაწყებისა და სასწავლო წლის შეუფერხებლად წარმართვის
ღონისძიებების შესახებ

შემოდგომის სემესტრი

- სააუდიტორიო მეცადინეობები - 05 ოქტომბერი - 18 იანვარი;
- სემესტრის მეცადინეობათა აღდგენა - 20 იანვარი - 25 იანვარი;
- საშობაო არდადეგები - 30 დეკემბერი - 08 იანვარი;
- საგამოცდო პერიოდი: ძირითადი გამოცდები - 27 იანვრიდან - 10 თებერვალი,
დამატებითი გამოცდები - 12 - 17 თებერვალი;
- არდადეგები - 19 თებერვლიდან - 25 თებერვალი.

გაზაფხულის სემესტრი

- სააუდიტორიო მეცადინეობები - 26 თებერვალი - 10 ივნისი;
- სემესტრის მეცადინეობათა აღდგენა - 11 ივნისი - 16 ივნისი;
- საგამოცდო პერიოდი: ძირითადი გამოცდები - 18 - 30 ივნისი,
დამატებითი გამოცდები - 02 - 07 ივლისი;
- კურსდამთავრებულთათვის სერთიფიკატის მინიჭება - 09 - 20 ივლისი.

სწორია: